



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 79

20/11/2017

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ

საკრებულოს თანამდებობის პირთა არჩევის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N7 დადგენილების 41-ე და 43-ე მუხლის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. არჩეული იქნეს საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. გიორგი ქასრაშვილი
2. ზადრი ბუცხრიკიძე
3. გოჩა ვერულაშვილი

მუხლი 2. ხმის დამთვლელი დროებითი კომისია თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს საკრებულოს მიერ შესაბამისი ფუნქციის მუდმივი კომისიის შექმნამდე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მერაბ სირაძე

საკრებულოს უხუცესი წევრი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

